ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №54

13 ოქტომბერი 2023 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, გიორგი ტყემალაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე, არჩილ გორდულაძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე.
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.**საკრ.№15-032327973-03 6/10/23(№11-01232792445); საკრ.№15-0323285104-03 10/10/23(№11-01232852619)**

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნით, პროგრამის „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობოექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“ (პროგ/კოდი: 02 01) წლიური გეგმა მცირდება 350 000 ლარით და შესაბამისი თანხით იზრდება „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 02 09 03). ცვლილება დაკავშირებულია კლდოვანი ფერდობების ქვათაცვენის საწინააღმდეგო ბადის მოწყობის სამუშაოების და დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად.

მეორე წერილით პროგრამის „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობოექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“ (პროგ/კოდი: 02 01) წლიური გეგმა იზრდება 2 200 000 ლარით, პროგრამის „გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“ (პროგ/კოდი 02 05) შესაბამისად შემცირების ხარჯზე. ცვლილება დაკავშირებულია ბახტრიონის ქ.№30-ის მიმდებარედ (წრიული) ვაკის გზის , ასევე ქვაბულის ფერდის მდგარდობის პროექტირება -მშენებლობასთან.

მომხრე- 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის გავითარების საქალაქო სამსახური ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა, უმრავლესობით გადაწყვიტეს:
“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა

საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**